შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

LTD FOOTBALL CLUB MESHAKHTE

კლუბის საშეჯიბრო სახელწოდება ს/კ „მეშახტე“

ს/კ 219630228

ქ.ტყიბული, თაყაიშვილის N3

ტელ: +995 599 24 92 49

შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

N186 **16.09.2025 წელი**

ანტირასისტული პოლიტიკა

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“ მკაფიოდ აცხადებს: რასიზმს ჩვენს კლუბში ადგილი არ აქვს. ჩვენ ვქმნით ისეთ გარემოს, სადაც ყველა ადამიანი-მათი კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნებისა თუ კულტურის მიუხედავად-ღირსეულად და თანასწორად არის მიღებული.

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“-ს პრინციპები:

- ნულოვანი ტოლერანტობა რასიზმის მიმართ-ნებისმიერი სახის რასისტული გამოხატულება, ქცევა ან შეურაცხყოფა დაუყოვნებლივ მიიღებს შესაბამის რეაგირებას.
- პატივისცემა და მეგობრობა-ვაფასებთ მრავალფეროვნებას და გვჯერა, რომ განსხვავებულობა ჩვენი გუნდის სიძლიერეა.
- უსაფრთხო გარემო-ყველა ფეხბურთელი, თანამშრომელი და გულშემატკივარი დაცულია რასისტული მოპყრობისგან.

ჩვენი კლუბის მაგალითი:

კლუბში გვყავს 5 ლეგიონერი ფეხბურთელი, რომლებიც დიდი სიყვარულითა და სიმპათიით სარგებლობენ გულშემატკივრებს შორის. ისინი ჩვენი გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი არიან და კლუბი მათ მიმართ გამოხატავს სრულ მხარდაჭერას.

ასაკობრივ გუნდებში ასევე გვყავს სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, რომლებიც მეგობრულ და თანასწორ გარემოში ავითარებენ საკუთარ შესაძლებლობებს.

ჩვენი კლუბის ვალდებულებები:

- ყველა თამაშზე და ღონისძიებაზე მოვუწოდებთ: არა რასიზმს! არა სიძულვილის ენას!
- შევიმუშავებთ განათლებასა და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს ახალგაზრდებისთვის, რათა მათ ისწავლონ პატივისცემა და ერთიანობის ღირებულება.
- გულშემატკივართა ნებისმიერი რასისტული ქცევა მკაცრად იქნება დაგმობილი და საჭიროების შემთხვევაში-შესაბამისი ზომები გატარდება.
- გავაგრძელებთ მრავალფეროვანი ფეხბურთელების მხარდაჭერას და ახალგაზრდებში ინკლუზიური სპორტის ხელშეწყობას.
- შემუშავებულ იქნა თანასწორობის პოლიტიკა თანამშრომლობისა და მომსახურეობის პირობებთან დაკავშირებით;
- შემუშავებულ იქნა პრაქტიკული პროგრამები რასისტული გამოხდომებისა და დისკრიმინაციის აღმომფხვრელი კამპანიის ხელშესაწყობად;

შპს საფეხბურთო კლუბი

„მეშახტე“-ს დირექტორი: /ლევან ჯაფარიძე/

შპს საფეხბურთო კლუბი„მეშახტე“-ს

სოციალური პასუხის,გებლობის ოფიცერი: /ქეთევან ყვავაძე/

E-mail – klubimeshakhte@gmail.com ; ID:219630228

Address – Tkibuli, Georgia, Takaishvili str. N3
Phone Number- +995 599 24 92 49